

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2016 წლის პროგრამები

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების სრული კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს: ასფალტ-ბეტონის საფარის და ტროტუარის ფილების დაგებას, ბორდიურების მოწყობას, ბეტონის საფარის დაგებას, შემხვედრი გარემოებებიდან გამომდინარე გარე-განათებისა და კომუნალური ქსელის რეაბილიტაციას; დეკორატიული ბოძკინტების, ღობურებისა და ურნების მონტაჟს, ხიდებისა და სახიდე გადასასვლელების მოაჯირების რეკონსტრუქცია-მონტაჟს.

არსებული ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე); აღმაშენებლის და ტბელ აბუსერიძის ქუჩების, აღმაშენებლის და გენ. ა. აბაშიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის (ქუჩების) კეთილმოწყობის სამუშაოები; მწვანე კონცხის დასახლებაში ბოტანიკურ ბაღთან მისასვლელი ქუჩების გაფართოება; მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა; აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში ფრიდონ ხალვაშის II ჩიხის კეთილმოწყობა; აღმაშენებლის ადმინისტრაციულ ერთეულში მარეთის ქუჩის კეთილმოწყობა; კონცელიძის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია და კონცელიძის ქუჩის #19-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; იმერხევის ქუჩის კეთილმოწყობა; ოშკის ქუჩის კეთილმოწყობა; შატბერდის ქუჩის კეთილმოწყობა; გზის პრობლემურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება; თამარ მეფის გამზ №10-დან №42-მდე ბორდიურების მოწყობის სამუშაოები; კომახიძის I შესახვევის კეთილმოწყობის სამუშაოები; მამია ვარშანიძის ქუჩის #29-ში მდებარე #28 საჯარო სკოლის შესასვლელ ხიდზე და ნიკო მუსხელიშვილის 3105-სა და #64-ს შორის არსებულ საავტომობილო ხიდებზე მოაჯირების მოწყობის სამუშაოები;

ე.წ. ჭაობის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპი; ბაგრატიონის ადმინისტრაციულ ერთეულში - 9 მარტის ქუჩის კეთილმოწყობა, ჭავჭავაძიდან პუშკინის ქუჩამდე; 26 მაისის ქუჩის კეთილმოწყობა, ჭავჭავაძიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე; დემეტრე თავდადებულის ქუჩის კეთილმოწყობა, ჭავჭავაძიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე; გრიბოედოვის ქუჩის კეთილმოწყობა, ჭავჭავაძიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე; ჰაიდარ აბაშიძის ქუჩის კეთილმოწყობა, პუშკინიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე; ლერმონტოვის ქუჩის კეთილმოწყობა, ჭავჭავაძიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე; თაყაიშვილის ქუჩის კეთილმოწყობა, ჭავჭავაძიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე; წერეთლის ქუჩის კეთილმოწყობა; ხიმშიაშვილის ქუჩის კეთილმოწყობა, ჭავჭავაძიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე; პუშკინის ქუჩის კეთილმოწყობა, ჯავახიშვილიდან მელიქიშვილის ქუჩამდე.

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია; ორმოული შეკეთება; არაასფალტირებული ქუჩების კაპიტალური რემონტი გრუნტის საფარის მოსწორებითა და მოხრეშვა-მოშანდაკების საფუძველზე; ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელი ბანერების დამზადება-მონტაჟი; ჩვეულებრივი და დეკორატიული ბოძკინტების, ღობურებისა და ურნების მოვლა-პატრონობა და მონტაჟი.

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები

ასფალტირებული ქუჩების ორმოული შეკეთება ასფალტ-ბეტონით;

ქალაქის ქუჩებში დაგებული რკინა-ბეტონის ფილების შეკეთება;

ქალაქის ქუჩებში დაგებული რკინა-ბეტონის ფილების შეცვლა;

არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

არაასფალტირებული ქუჩების შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით;

არაასფალტირებული ქუჩების შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის გარეშე;

არაასფალტირებულ ქუჩებსა და გზებზე უვარგისი გრუნტის ამოღება და ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შევსება;

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

ახალი ბოძკინტების შექმნა;

ქვაფენილის საფარიანი ქუჩების შეკეთება;

ქვაფენილიანი ქუჩების ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით გამაგრება;

დაზიანებული ბორდიურების შეცვლა / შეკეთება;

ტროტუარებზე დაზიანებული ფილების შეცვლა - შეკეთება;

დაზიანებული ბოძკინტების შეკეთება;

დაზიანებული ბოძკინტების შეცვლა-ახლის დამონტაჟება.

ქალაქის სანიაღვრე სისტემის გამტარუნარიანობის გაუმჯობესება და გაფართოება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ღია და დახურული სანიაღვრე არხების, სანიაღვრე ჭების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სანიაღვრე წყლების გადამქაჩი, კომბინირებული სატუმბი სადგურების (სალექართან ერთად) და სანიაღვრე წყლების პირველადი ნაკადის მიმღები ავზების მშენებლობა; სანიაღვრე ჭების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა; დახურული და ღია, აგრეთვე ზღვაში გასასვლელი სანიაღვრე არხების გაწმენდა; სანიაღვრე მილების გაწმენდა ჭურვის გატარებით; სანიაღვრე ჭების მიმდინარე შეკეთება; გადახურვის ფილის გამოცვლა; სანიაღვრე არხების სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავება; მდინარეების ფსკერების გაწმენდა; სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია

სანიაღვრე ჭების გაწმენდა, შლამის ამოღება-გატანა; დახურული სანიაღვრე არხების გაწმენდა;

სანიაღვრე მილების გაწმენდა ჭურვის გატარებით; ზღვაში გასასვლელი არხების გაწმენდა;

სანიაღვრე ჭების მიმდინარე შეკეთება; გადახურვის ფილების გამოცვლა; სანიაღვრე არხების სანიტარულ -ჰიგიენური დამუშავება; ღია სანიაღვრე არხების გაწმენდა; მდინარეების ფსკერების გაწმენდა; სანიაღვრე არხების ცხაურების შეკეთება; ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქცია (2015-2016 წ).

ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე (გრიბოდოვიდან ლერმონტოვის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები; სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია

მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესებისა და წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება 10500 აბონენტის გამრიცხველიანება - ინდივიდუალური წყალმზომის დაყენება (მრავალსართულიან კორპუსებში);

ჩაქვის წყლის გადამცემი მაგისტრალის ქალაქის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები (თამარის დასახლებიდან ერისთავი-შავშეთის კვეთამდე (2600 გრძ.მ)

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა; ქალაქის სანაპირო ზოლის დასუფთავება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარიული მომსახურება;

გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩებში ელექტრო ბოძების დამონტაჟება; სანათების მონტაჟი; ფოტო რელესა და ელექტრო გადამცემი კარადების მოწყობა; გარე განათების ქსელისა და ელექტროგამანაწილებელი კარადების მიმდინარე მოვლა-პატრონობა; არსებული ელექტრო ბოძების შეღებვა; მოხმარებული ელ ენერჯის საფასურის დაფარვა.

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა ლერმონტოვის ქუჩაზე სკვერის მოწყობა.

ზუბალაშვილის ქ. №39-ს მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა.

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნაძვის ხის მონტაჟი, ნაძვის ხის გაწყობა-გაფორმება საახალწლო აქსესუარებით. ახალი საახალწლო აქსესუარების შეძენა, ქუჩების გაფორმება საახალწლო აქსესუარებით. საახალწლო ღონისძიებების დასრულების შემდგომ მათი დემონტაჟი; ორმხრივი ბილბორდების დამზადება-მონტაჟი, მემორიალური დაფების

დამზადება-მონტაჟი გრანიტის ფილებით, წარწერით, საინფორმაციო დაფების, შრიფტული, მისასალმებელი და სააგიტაციო ბანერების, პლაკატების დამზადება-მონტაჟი, ძეგლების და ბიუსტების გაწმენდა, მცირე რესტავრაცია, შენობა-ნაგებობების ფასადების გაწმენდა ლაქებისაგან, ქალაქში არსებული სტაციონარული ფლაგშტოკებისათვის დროშების შეკერვა, გამოფენა და შემდგომში დემონტაჟი; ქალაქში არსებული წრიული სადგარებისთვის დროშების შეკერვა და მონტაჟი; დროშების შექმნა.

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება

2015 წელს დამონტაჟებული საახალწლო აქსესუარების და ნაძვის ხის დემონტაჟი;

ნაძვის ხის მონტაჟის და მორთვის სამუშაოები;

სკვერებისა და ქუჩების გაფორმება საახალწლო აქსესუარებით;

ქუჩების და ფასადების გაფორმება საახალწლო აქსესუარებით;

მანათლებელი კონსტრუქციების შეკეთება-დამზადება;

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდება 2015 წელს დაწყებული ჯავახიშვილის ქუჩა №78ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე 4 ერთეული 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მასში არსებული 80 საცხოვრებელი ბინის (საერთო ჯამში 4043 კვ.მ საცხოვრებელი ფართი) რემონტი.

განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება:

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სანიაღვრე არხების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

საბავშვო ბაღების შენობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

გარე განათების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სასპორტო ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

კულტურული დანიშნულების ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა -4

შენობა-ნაგებობების და ადმინისტრაციული დანიშნულების ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;  
სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ლიკვიდაციისათვის განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და რეაბილიტაცია

ურეხის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 2539 კვ.მ მოცულობის განაშენიანების ფართზე 315 ალსაზრდელზე გათვლილი 3 სართულიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა, საქვებისა და სათავსოს მშენებლობა, შენობის გათბობის მოწყობა, სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟი, ეზოს კეთილმოწყობა;

წერეთლის ქუჩა №30-ში მდებარე №12 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი - განხორციელდება 265 ალსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები, მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე №5 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო-დაშენების სამუშაოები.

საბავშვო ბაღის შენობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის სამუშაოების დასრულება;

სპორტული მიწის სტადიონების კაპიტალური შეკეთება;

სპორტული ტრენაჟორის შექმნა - მონტაჟი;

ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა